დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 9

ქ. დმანისი 29 სექტემბერი 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. აზერ ალიევი
4. ოლეგი გოშუანი
5. ილია სარსევანიძე
6. მაკა ოკმელაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. სოფიო ასლამაზაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. გუმბათ იუსუბოვი
15. შახინ კოიალოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. სტამბულ ისაევი
18. ნატიგ ოვჩიევი
19. შაჰინ გასანოვი
20. შახინ გასანოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი,
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 15
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
2	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109243592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**
3	**განკარგულება:** მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ		
		მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**
4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ		
		მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 25 სექტემბრის #03-108252683 წერილის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1207 განკარგულებით განსაზღვრული თანხიდან 35,4 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით განსაზღვრული თანხიდან 21,5 ათასი ლარი, რაც ჯამში შეადგენს 56,9 ათას ლარს, გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 185,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 242,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
2) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 3,0 ათასი ლარით და ეს თანხა გადატანილ იქნას ამავე კოდის „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 21,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 24,0 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

3) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 23 სექტემბრის #02-1082526621 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობების" „გრანტი"-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები"-ს 06_02_11 ორგანიზაციულ კოდში „შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" აისახოს 2025 წლის აგვისტოს თვის გამოყოფილი თანხა 17,9 ათასი ლარის ოდენობით შემდეგი მუხლების მიხედვით:

- ✓ საქონელი და მომსახურება - 0,9 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა - 17,0 ათასი ლარი;

შესაბამისად, „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლი ნაცვლად 3,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 4,1 ათასი ლარით, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფა"-ს მუხლი ნაცვლად 34,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 51,4 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

4) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 22 სექტემბრის #04-1082526534 წერილის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 სექტემბრის #03-1082526727 წერილის და დმანისის მუნიციპალიტეტის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის 2025 წლის 25 სექტემბრის #108.1082526817 წერილის საფუძველზე: ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია"-ს „სხვა ხარჯები"-ს მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში გადატანილ იქნას თანხა 40,0 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 77,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 117,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

5) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2025 წლის 22 სექტემბრის #04-1082526530 წერილის საფუძველზე: ორგანიზაციული კოდი 05_01_02 „სპორტული ღონისძიებები"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლიდან „სხვა ხარჯები"-ს მუხლში გადატანილ იქნას თანხა 1,6 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 13,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 14,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

6) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 10 სექტემბრის #02-1082525320 წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 06_02_01 „ავადმყოფთა სოციალური დაცვა"-ს „სხვა ხარჯები"-ს მუხლიდან ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა"-ს მუხლში გადატანილ იქნას თანხა 7,0 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 680,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 687,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

7) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 23 სექტემბრის #02-1082526682 წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 01_02_05 „ქალთა და ბავშთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის ღონისძიებები"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლი შემცირდეს, ხოლო ორგანიზაციული კოდი 06_02_01 „ავადმყოფთა სოციალური დაცვა"-ს „სოციალური უზრუნველყოფა"-ს მუხლი გაიზარდოს 20,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 687,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 707,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **35 323,5** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიასვილმა
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18
წინაღმდეგი: კახა დევნოზაშვილი
2. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109243592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ „ტრანსპორტით მომსახურების 2025 წლის მუნიციპალურ ქვეპროგრამაში, იქიდან გამომდინარე, რომ სამუსიკო სკოლას, კულტურისა და ხელოვნების სკოლას დაემატა ჯგუფები რამაც გამოიწვია გრაფიკის ცვლილება. საბოლოოდ დანართი N17-ის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 06)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 02 06) (შემდგომში - ქვეპროგრამა) მიზანია მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2 . ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის მოსარგებლე პირებისათვის მგზავრობის უზრუნველყოფა და ფინანსური სახსრების დაზოგვა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:
ა) დიალიზის საჭიროების მქონე პირები (რომლებიც სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის ,,დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამით");
ბ) ა(ა)იპ ,, დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" სტუდიების მოსწავლეები;
გ) ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლის" მოსწავლეები.
დ) ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურით" მოსარგებლე ბავშვები.
ე) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი სხვა პირები.
მუხლი 4. ტრანსპორტის გადაადგილების მიმართულება

1. დიალიზის საჭიროების მქონე პირების ტრანსპორტირება - ქ. დმანისიდან - ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან - ქ. დმანისის მიმართულებით კვირაში ერთი დღე (საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2 დღე);
2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.
3. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად.
4. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:
ა) კვირაში ორი დღე - სოფელი დაგარახლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელი დაგარახლოს მიმართულებით;
ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი ამამლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელი ამამლოს მიმართულებით;

გ) კვირაში ექვსი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;
დ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;
ე) კვირაში სამი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით (ორშაბათს ორი რეისი, ოთხშაბათს ორი რეისი, პარასკევს ერთი რეისი);
ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;
ზ) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;
თ) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;
ი) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მიმართულებით.
კ) კვირაში ერთი დღე - ს. ლოქჭანდარი, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, ს. ლოქჭანდარის მიმართულებით;
ლ) კვირაში ერთი დღე - ს. კამიშლო, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, ს. კამიშლოს მიმართულებით;
მ) კვირაში ერთი დღე - ს. კაკლიანი (აზერბაიჯანული), ს. ბოსლები, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, ს. ბოსლები, ს. კაკლიანის (აზერბაიჯანული) მიმართულებით;
ნ) კვირაში ორი დღე - ს. მაშავერა ქ. დმანისი და ქ. დმანისი, ს. მაშავერის მიმართულებით;
ო) სასწავლო დღეებში 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება ს. ახალი გოდაგდაგი, ს. ზემო კარაბულახი, ს. ქვემო კარაბულახი, ს. სარკინეთი და ს. სარკინეთი, ს. ზემო კარაბულახი, ს. ქვემო კარაბულახი, ს. ახალი გოდაგდაგის მიმართულებით;
პ) სასწავლო დღეებში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება ს. ზემო ოროზმანი, ს. ქვემო ოროზმანი ს, ამამლო და ს. ამამლო, ს. ქვემო ოროზმანი, ს. ზემო ოროზმანის მიმართულებით.
5. ა(ა)იპ ,,დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" სტუდიების მოსწავლეების გადაადგილება განხორციელდეს ამ ქვეპროგრამის დანართი #1-ით განსაზღვრული მიმართულებებით და გრაფიკით.
6. ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლის" მოსწავლეების გადაადგილება განხორციელდეს ამ ქვეპროგრამის დანართი #2-ით განსაზღვრული მიმართულებებით და გრაფიკით.
7. ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე;
8. მე - 4 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში გამოიცეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის მიერ ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აზრი გამოთქვეს: ოლეგი გოშუანმა
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 18

წინაღმდეგი: კახა დევნოზაშვილი

3. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია[1] – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის

[1] https://undocs.org/A/RES/70/1

წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის", რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა". 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი[2]. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000 – 2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად. 2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR)[3] ამსახველი ანგარიში. მას მოჰყვა მეორე და მესამე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშები 2020 წელს და 2024 წელს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, დმანისის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების 8 მიზანი და 14 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად.
მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად. ასევე, მუნიციპალიტეტის მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, დონორ ორგნიზაციებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და ნებისმიერ დაინტერესებულ მახარესთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო იმ აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად, რომლებიც არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროს.
დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მდგრადი განვითარების მიზნები და მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანები ასევე, ამოცანის შესრულების 17 ინდიკატორი, საბაზისო მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის) მოცემულია დანართი 2-ში (თან ერთვის მატერიალური სახით). აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობას გაზომოს პროგრესი მიზნების მიღწევის მიმართულებით.
მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტის შემუშავების დროს

[2] https://undocs.org/A/RES/71/313

გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.
მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტის პროექტი (დანართი 1 და დანართი 2) შედგენილია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და განხილულია მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის სამმართველოსთან, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანების შესაბამისად ასრულებს საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ფუნქციას.
განკარგულების გამოცემა არ გამოიწვევს მუნიციპალური ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 21
წინაღმდეგი: კახა დევნოზაშვილი

4. მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში. 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხას დაემატოს „ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სპორტ კომპლექსის ფასადის მოპირკეთების სამუშაოები" და „კულტურის სახლში 1 ოთახის რეაბილიტაცია", რისთვისაც საჭიროა 27 780 ლარი.
აღნიშნული თანხა გადატანილი იქნას „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაციიდან.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .
მომხრე: 21
წინაღმდეგი: კახა დევნოზაშვილი
დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

დანართი N1

მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტი

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია[1] – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის", რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა". 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი[2]. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000 – 2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად. 2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR)[3] ამსახველი ანგარიში. მას მოჰყვა მეორე და მესამე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშები 2020 წელს და 2024 წელს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

---

[1] https://undocs.org/A/RES/70/1

[2] https://undocs.org/A/RES/71/313

გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანი

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება.

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალიტეტში დანერგვისა და კოორდინაციის პროცესი

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, დმანისის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების **8 მიზანი** და **14 ამოცანა** განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად. ასევე, მუნიციპალიტეტის მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, დონორ ორგნიზაციებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და ნებისმიერ დაინტერესებულ მახარესთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო იმ აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად, რომლებიც არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროს.

დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მდგრადი განვითარების მიზნები და მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანები ასევე, ამოცანის შესრულების **17 ინდიკატორი, საბაზისო მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის)** მოცემულია დანართი 2-ში. აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობას გაზომოს პროგრესი მიზნების მიღწევის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მიზანი

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადა დმანისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი

მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ქმნის **მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს** და განსაზღვრავს მის შემადგენლობას. საბჭოს ხელმძღვანელობს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს ქვეშ შექმნილია **3 თემატური სამუშაო ჯგუფი:** ჯანდაცვა და სოციალური

ჩართულობა, ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა. მათ მუშაობას ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგს დმანისის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგის მიზნით შექმნილია სპეციალური ანგარიშგების ფორმა, რომლის შევსებასა და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოსათვის მიწოდებას უზრუნველჰყოფს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში. დანართი №2-ით, „დმანისის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები", განსაზღვრულ წამყვან სამსახურებს ევალებათ ანგარიშგება მოახდინონ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წინაშე, სპეციალურად შემუშავებული ანგარიშგების ფორმის შესაბამისად. მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების თაობაზე ყოველწლიური ანგარიში წარედგინება მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს.

მონიტორინგი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გრძელვადიან პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის განვითარების ტენდენციების განსაზღვრას, გამოწვევების დადგენასა და შესაძლო ჩარევის სფეროების იდენტიფიცირებას. მონიტორინგის პროცესი ასევე გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება მოხდება დანართი №2-ით განსაზღვრული, მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანებისათვის შემდეგი სტატუსების მინიჭებით:

№	სტატუსი	პროგრესის შესაბამისად
1	არ დაწყებულა	0%
2	მიმდინარე – ნაწილობრივ შესრულდა	1%-50%
3	მიმდინარე – მეტწილად შესრულდა	51%-99%
4	განხორციელდა	100%
5	განხორციელდა დაგვიანებით	100%
6	გაუქმებულია	0%-99%
7	შეჩერებულია	0%-99%

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მუნიციპალიტეტის მიმოხილვის ანგარიში წარედგინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2020 წლის 23 იანვრის, №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს, წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში. ასევე, საბოლოო ანგარიში შემუშავდება 2030 წელს.

მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალური დოკუმენტის ტერმინთა განმარტება

მდგრადი განვითარების მიზნების დმანისის მუნიციპალურ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. მიზანი: 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლისთვის განსაზღვრული მიზანი http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf;

2. გლობალური ამოცანა: 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის A/RES/70/1 რეზოლუციით განსაზღვრული ამოცანა http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf;

3. საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა: (i) ეროვნულ დონეზე, არსებული გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ადაპტირებული გლობალური ამოცანა; (ii) გლობალური ამოცანის იდენტური ამოცანა; (iii) ახალი/დამატებითი ამოცანა;

4. მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა: (i) მუნიციპალიტეტის დონეზე, არსებული გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ადაპტირებული გლობალური ამოცანა; (ii) გლობალური ამოცანის იდენტური ამოცანა; (iii) ახალი/დამატებითი ამოცანა;

5. გლობალური ინდიკატორი: 2017 წლის 6 ივლისის გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციის დანართით განსაზღვრული ინდიკატორი https://undocs.org/A/RES/71/313;

6. მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ინდიკატორი: რაოდენობრივი ან თვისებრივი, მუნიციპალური ან ეროვნულის ან გლობალურის იდენტური ინდიკატორი;

7. საბაზისო მაჩვენებელი: ინდიკატორი, რომელიც ასახავს სტატისტიკურ სურათს კონკრეტული წლის მდგომარეობით;

8. სამიზნე მაჩვენებელი-მიზანი 2030: რაოდენობრივი ან თვისებრივი მაჩვენებელი რომელიც ზომავს მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანის პროგრესს 2030 წლისთვის;

9. მონაცემთა წყარო: წყარო, სადაც მოიპოვება მონაცემები ინდიკატორ(ებ)ისათვის და მოწმდება დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკის სიზუსტე და პროგრესი;

10. წამყვანი სამსახური: მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანის შესრულების ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები ან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი.

ფმანისი მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები

ეროვნული ამოცანა	მუნიციპალიტეტთან ასოციაციული ამოცანა	ადგილობრივი ინდიკატორი	ინდიკატორებთან ასოციაციული ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი - მიზანი 2030	ფასადური ფაქტი	ფაქტიური სამსახური
მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა							
1.3 ყველა ადამიანისთვის განხორციელდეს მუსაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ მოიოს მინიმალური ნორმები და 2030 წლისთვის მიღწეულ იქნეს ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვა	1.3 მიღებულ იქნას მუსაფერისი მუნიციპალური ზომები, რათა 2030 წლისთვის მიღწეულ იქნეს ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვის ხელიწყობა და გაძლიერება	1.3.1 სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა ასეთის მიხედვით: ბავშვები, უმუშევრები, საზაზისეულის, მუხდეფული მუსაძღებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, საჭარმო ტრავმის მსხვერპლების და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ზზნებამით	1.3.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალი მოწყლადი კვლების დაფარული ხელმუწყობისა და გაძლიერების მიზნით განხორციელებული სოციალური პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ითვალისწინებს ფუნადი და არაფულადი სოციალური დახმარების გაწევას მუნიციპალიტეტის საგხოგრებლებისათვის. მათი სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენიანობის გეგმურობისის მიზნით	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 19	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 22	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანმრთველობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანმრთველობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
			1.3.1.2 წლის განმავლობაში მოწყლადი კვლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის ოდენობა ლარში	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 2 261 736 ლარი	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 2 500 000 ლარი	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანმრთველობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანმრთველობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის
1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა მამაკაცმა და ქალმა, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყლადად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში, ასევე უზრუნველყოფილი იქნას მათი ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურებებზე, მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობისა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ მორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე	1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა მამაკაცმა და ქალმა, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყლადად პირებს, ჰქონდეთ ნებადართული ძირითად მომსახურებებზე	1.4.1 იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე	1.4.1.1 იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება წყალმოსარგებლის სისტემაზე	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 70%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 90%	მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მოწყლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მოწყლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
			1.4.1.3 იმ ქუჩების პროპორციული ოდენობა სადაც ეფექტურადაა გარე განათება	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** ქალაქში - 100% სოფლად - 90%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** ქალაქში - 100% სოფლად - 100%	მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მოწყლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მოწყლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
1.5 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყლადად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და ბოლული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობების გაზრდა. ასევე მათი დაცვადობისა და მოწყლადობის შემცირება კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების ფენომენებსა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული მოკვლისა და კატასტროფების მიმართ	1.5 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყლადად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და ბოლული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობების გაზრდა. ასევე მათი დაცვადობისა და მოწყლადობის შემცირება ეკონომიკური, სოციალური და უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებული მოკვლისა და კატასტროფების მიმართ	1.5.1 სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა 100,000 კაცზე	1.5.1.1 საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ღატაკი მოსახლეობის, ეხედერი შემთხვევის შედეგად დაზარალებული ოჯახების და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების (რომელთა საცხოვრებისი დაზიანდა) საცხოვრისით უზრუნველყოფილათვის ამ საცხოვრებელი პირობების რეაბილიტაცია/გაუმჯობესებისათვი ს გამოყოფილი თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 136 400 ლარი	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 150 000 ლარი	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამა	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანმრთველობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
1.a სხვადასხვა წყაროდან, მათ მორის განვითარების სფეროში გაგანვითარებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მობილიზებისა უზრუნველყოფა ქვეყნების, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარებისთვის ადეკვატური და პროგნოზირებადი სამუალებების უზრუნველსაყოფად და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსაზღვრულებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით	1.a სხვადასხვა წყაროდან, მათ მორის განვითარების სფეროში გაგანვითარებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მობილიზებისა უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ადეკვატური და პროგნოზირებადი სამუალებების უზრუნველსაყოფად და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსაზღვრულებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით	1.a.2 ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთავარობის მთელიანი ბარეკეთის პროპორციული ოდენობა	1.a.2 ძირითად სერვისებზე (განათლება და სოციალური დაცვა) მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** განათლება - 7,9% სოციალური დაცვა - 7,9%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** განათლება - 9,25% სოციალური დაცვა - 8,74%	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლისმეურნეობის საბიუჯეტო სამსახური	ფმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლისმეურნეობის საბიუჯეტო სამსახური
მიზანი 3: ჯანმრთელობისა და ეკონომიკურეფექტიანობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის							
3.6 2020 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაშავებების რაოდენობის გასამცირება	3.6 მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის და დაშავებების რაოდენობის შემცირების მიზნით ადეკვატიზრება მნიშვნელობის ტუბეზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა უსაფრთხო გადაადგილებისათვის	3.6.1 ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი	3.6.1 მუნიციპალური გზების სიგრძის პროპორციული მაჩვენებელი, რომელიც სრულად არის მოწყობილი უსაფრთხო გადაადგილებისათვის	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 30%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 70%	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლისმეურნეობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლისმეურნეობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის							
4.ა ბავშვებზე და მუზეფეფული მესაძღებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა და განახლება. ყველასათვის უსაფრთხო, არადისკრიმინაციული, ინკლუზიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა	4.ა ბავშვებზე და მუზეფეფული მესაძღებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა და განახლება. ყველასათვის უსაფრთხო, არადისკრიმინაციული, ინკლუზიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა	4.ა.1 იმ სკოლების პროპორციული რაოდენობა, რომელთაც აქვთ: (ა) ელექტროენერგია; (ბ) ინტერნეტი სასწავლო მიზნებისათვის; (გ) კომპიუტერები სასწავლო მიზნებისათვის; (დ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და მასალები მუზეფეფული მესაძღებლობის მქონე მოსწავლეებისათვის; (ე) სასმელი წყალი; (ვ) სანიფაკრეფოები ფალ-ფალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის; (ზ) ხელსაბანები (წყლის, სანიტარიული პირობებისა და ჰიგიენის (WASH) ინდიკატორები	4.ა.1.1 იმ სასკოლო ბაღების პროპორციული რაოდენობა, რომელთაც აქვთ: (ა) ელექტროენერგია; (ბ) სასმელი წყალი; (გ) სანიფაკრეფოები ფალ-ფალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის; (დ) ხელსაბანები	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** (ა) ელექტროენერგია - 100%; (ბ) სასმელი წყალი - 100%; (გ) სანიფაკრეფოები ფალ-ფალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის - 100%; (დ) ხელსაბანები - 100%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** (ა) ელექტროენერგია - 100%; (ბ) სასმელი წყალი - 100%; (გ) სანიფაკრეფოები ფალ-ფალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის - 100%; (დ) ხელსაბანები - 100%	ა(ა)ია ფმანისის საკოლამეული აღზრდის სამსახური	ა(ა)ია ფმანისის საკოლამეული აღზრდის სამსახური
მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება							
5.1 ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა	5.1 ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ხელშეწყობა	5.1.1 არსებობს თუ არა საკანონმდებლო ჩარჩო თანასწორობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით	5.1.1.1 ქალთა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით საზოგადოებრივი ინფორმირების ამაღლებისათვის მუნიციპალიტეტის ბანმტკიცებულ ჩატარებული ფინანსიერების რაოდენობა წლის განმავლობაში	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 1	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 4	ფმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	ფმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო
5.გ გენდერული თანასწორობის გაზვითარების, ასევე ქალთა და გოგონების ყველა ფორმაზე გაძლიერებისათვის ძლიერი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის მიღება და გაძლიერება	5.გ გენდერული თანასწორობის გაზვითარების, ასევე ქალთა და გოგონების ყველა ფორმაზე გაძლიერებისათვის ძლიერი პოლიტიკის დოკუმენტების მიღება და გაძლიერება	5.გ.1 იმ ქვეყნების პროპორციული ოდენობა რომლებსაც აქვთ საკანონმდებლო ფორმალური ინსტრუმენტები ინსტიტუტ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისათვის	5.გ.1.1 გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის არსებობა	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არსებობს	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არსებობს	ფმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	ფმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო
მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა							

6.3 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელი წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა	6.1 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტის ყველა მაგისტრალისათვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელი წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა	6.1.1 მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სასმელი წყლის მომსახურებით	6.1.1 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს სასმელი წყლით მომსახურებით	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 70%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 95%	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და გამვეთარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა							
9.1 ხარისხიანი, საიმედო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება. მათ შორის რეგიონული და ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელმისაწვდომობა, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბარად ხელმისაწვდომი	9.1 ხარისხიანი, საიმედო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება. მათ შორის რეგიონული ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელმისაწვდომობა, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბარად ხელმისაწვდომი	9.1.1 სოფლის მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი რომელიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მიმუშავე გზიდან 2 კმ-ში	9.1.1 სოფლის მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი რომელიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მიმუშავე გზიდან 2 კილომეტრზე ნაკლები დაშორებით	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 95%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 100%	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
			9.1.2 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის მოგება პატრონობისთვის, რეგისტრაციისა და განვითარებისთვის ნელიერად დასარული თანმხლი ოდენობა ეროვნულ ალიტაში	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 15 043 000 ლარი	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 17 500 000 ლარი	დასახლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება							
11.1 2030 წლისთვის ყველასთვის ადეკვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრებისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა; და მტიერო დარიცხი საცხოვრისების (ბარაკების) განახლება	11.1 2030 წლისთვის ყველასთვის ადეკვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრებისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა და დაბინავებული საცხოვრისების განახლება	11.1.1 იმ უბანსაფლი მოსახლეობის პროპორცია, რომელიც ცხოვრობს მტიერო დარიცხ საცხოვრისებში (ბარაკებში), არაფორმალურ დასახლებებსა და არაადეკვატურ საცხოვრისებში	11.1.1.1 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთებისათვის მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის პროპორციული მაჩვენებელი	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 1.5%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 4.3%	დასახლის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	დასახლის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
11.6 2030 წლისთვის ეფექტურად ეარჩინა ადგილობრივ ეკონომიკურ ზეგავლენა, ყურადღება მიექცეს ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით	11.6 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, მათ შორის, ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით	11.6.1 რეგულარულად მეგროვებული და მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე გადასულ ნაგავი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური ნაგავი ნარჩენების ჯამურ რაოდენობასთან, დასახლებული ქალაქების მიხედვით	11.6.1.1 დასახლებული პუნქტების პროპორციული ოდენობა საიდან რეგულარულად მიმდინარეობს მუნიციპალური ნარჩენების მუსაობისი წესით მეგროვება და განთავსება	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 65.5%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 90%	ა(ა)იპ დასახლის სერვის ჯგუფი	ა(ა)იპ დასახლის სერვის ჯგუფი
11.7 2030 წლისთვის შეიქმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალებისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და მგმ პირებისთვის	11.7 2030 წლისათვის შეიქმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალებისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და მგმ პირებისთვის	11.7.1 ქალაქების მოწყობილი სივრცის საშუალო ნილი რომელიც ფიარ საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ყველასათვის, ნებისმიერი სქესის, ასაკის და მგმ-თვის	11.7.1 მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი სივრცის სიდიდე რომელიც ფიარ საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ყველასათვის, ნებისმიერი სქესის, ასაკის და მგმ-თვის	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 50 000 კვ.მ	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 60 000 კვ.მ	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სოფლითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე							
16.6 ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე	16.6 ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სტრუქტურების შექმნა მუნიციპალურ დონეზე	16.6.1 მთავრობის ძირითადი ხარჯები თავდაპირველად დაბუჯეტებული ბიუჯეტის წიფლის სახით, სექტორების მიხედვით (ამ ბიუჯეტის კოდების თუ შმგავსი პარამეტრების მიხედვით)	16.6.1.1 მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულების ჩაჩვენებელი (ხარჯები)	**წელი:** 2024 **მაჩვენებელი:** 90.6%	**წელი:** 2030 **მაჩვენებელი:** 95%	დასახლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური	დასახლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური